

მაკა ლაბარტყავა

პასუხობს და კარნახობს ზმნათა ორთოგრაფიისათვის

თანამედროვე ქართულში გარკვეული ნაწილი **-ობ** სუფიქსიანი ნასახელარი ზმნებისა დრო-კილოთა აწმყოს წყებაში იმავე სახელის ფუძისაგან **უ-** პრეფიქსითა და **-ებ** სუფიქსით ნაწარმოებ ზმნათა ფუნქციით იხმარება: **პასუხობს // უპასუხებს, კარნახობს // უკარნახებს** (ასევე – საყვედურობს // უსაყვედურებს, პატაკობს // უპატაკებს).

ცნობილია, რომ ლექსიკური ერთეულები **პასუხობს** და **კარნახობს** „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ აკრძალვითაა წარმოდგენილი: [პასუხობს მას კი არა] **უპასუხებს, პასუხს აძლევს; [კარნახობს მას კი არა] უკარნახებს.**

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, რა ვითარებაა თანამედროვე ქართულში **პასუხობს** და **უპასუხებს, კარნახობს** და **უკარნახებს** ზმნათა გამოყენების თვალსაზრისით. ამათგან რომელი გამოიყენება უფრო ხშირად (**პასუხობს, კარნახობს** თუ **უპასუხებს, უკარნახებს**) და – რა ფუნქციით.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „ქართულში **-ობ** სუფიქსით უმთავრესად საშუალი გვარის ნასახელარი ზმნები იწარმოება: ავადმყოფი – ავადმყოფობს, ამაყი – ამაყობს, თამაში – თამაშობს... ყველა ეს ზმნა ერთპირიანია, მათ მყოფადსა და ნამყოფვეტილში სათავისო ქცევის ფორმები აქვთ გამოყენებული: იავადმყოფებს, იავადმყოფა, ითამაშებს, ითამაშა... ამ ერთპირიანი ზმნების ანალოგიით იწარმოება „პასუხობს“, „კარნახობს“... ფორმები, მაგრამ რაკი ეს ზმნები საშუალი გვარის გარდაუვალი ზმნები კი არა, მოქმედებითი გვარის გარდამავალი ზმნებია – მყოფადსა და ნამყოფვეტილში იხმარებიან სასხვისო ქცევის ფორმით: **მიპასუხებს, გიპასუხებს, უპასუხებს, მიკარნახებს, გიკარნახებს, უკარნახებს...**“ [შალამბერიძე 1980: 42-43].

„ძველ ქართულში **უპასუხებს** ზმნის მნიშვნელობით **სიტყუასუგებს, სიტყუასა-მიუგებს** შესიტყვება იხმარებოდა (მაგ.: არცაღა **სი-**

ტყუასა მიუგებ, რასა ესენი შეგწამებენ შენ?...). მოგვიანებით ქართული **სიტყუა** საშუალებას უძლავს **პასუხმა** (**პასუხი** ქართულად სიტყვას ნიშნავს) შეცვალა და ენაში **პასუხს-უგებს**, **პასუხს-მიუგებს** შესიტყვებები გავრცელდა (მაგ.: „უკუეთუ ვინმე შეჰრისხნის, **პასუხს-უგებნ** ტკივილით“) [მამათა სწავლანი]. ახალ ქართულში **პასუხს მიუგებს** შესიტყვების ნაცვლად **პასუხად მიუგებს** გვაქვს. **პასუხი**, რომელიც პირდაპირი დამატების ნაცვლად დამატების ფუნქციას ასრულებდა, პირმიუმართავი დამატების ფუნქციით აღიჭურვა, რის გამოც შესაძლებელი გახდა ზმნას ახალი პირდაპირი ობიექტი დაკავშირებოდა. მაგ.: „გულმოკლულმა ესლა მიუგო **პასუხად**“ [ქსკს 1981: 114].

უპასუხებს და **უკარნახებს** ზმნები სემანტიკურად „მეტყველება წრის“ ზმნებს განეკუთვნება. „მეტყველება წრის“ ზმნები ძველი ქართული ენის მონაცემების მიხედვით ცალკე ჯგუფად გამოყო და მათი სინტაქსური ბუნება შეისწავლა ფარნაოზ ერთელიშვილმა. ეს ზმნებია: ჰრქუა (ეტყვის), თქუა (იტყვის), აღუთქუა, უთხრა, მიუგო, ჰკითხა, ახარა, აღიარა, აუწყა... ამ ზმნებს პირდაპირი დამატება უნდა ჰქონოდათ, მაგრამ წინადადებაში ეს სახელი, ზოგი გამონაკლისის გარდა, არ ჩანს.

ავტორის ვარაუდით, ეს სახელი, როგორც ერთი და, ამდენად, ადვილად სავარაუდებელი, გაუჩინარდა. პირდაპირი დამატების შინაარსობრივ ნაცვლობას ამ ზმნებთან მთლიანად დამოკიდებული წინადადება ეწევა. „თითქოს ბუნებრივად არის: ის, რაც თქვა ან უთხრა (მან მას), ერთ სიტყვაში ძნელად მოთავსდება და თუ ასეთი შემთხვევები მაინც გვხვდება, ეს იმიტომ, რომ ენაში არსებობს გარკვეული რაოდენობა ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც „მეტყველება წრის“ ზმნებმა პირდაპირ დამატებად შეიძლება შეიგუონ (სიტყუა, იგავი, სახელი...). თქმულის კონკრეტული შინაარსი, ჩვეულებრივ, დამოკიდებული წინადადებით გამოიხატება ხოლმე“ [ერთელიშვილი 1963: 183-194].

ეს სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქცია ახასიათებს ჩვენთვის საინტერესო **უპასუხებს** და **უკარნახებს** ზმნებსაც, ოღონდ – ზემოთ დასახელებულ ზმნათაგან განსხვავებით, პირდაპირი ობიექტი ამ ზმნისა დაკარგული ან გაუჩინარებული კი არ არის, არამედ ზმნის ფუძემია, სემანტიკურად დატვირთული ნაწილია ზმნისა.

„ხშირად კონტექსტის მიხედვით შინაარსობრივად დაზუსტება სჭირდება ზმნის ფუძის საწარმოებლად აღებულ სახელს – იმ ნათქვამს, **პასუხად, საყვედურად** რომ უთხრეს, **პატაკის, კარნახის** სახით რომ მიაწოდეს ვინმეს. ამ ნათქვამის შინაარსი კი ზმნას უკავშირდება წინადადების (პირდაპირი ან ირიბი ნათქვამის), დამატებითი დამოკიდებული წინადადების ან ცალკეულ შემთხვევაში ახლად განვითარებული პირდაპირი დამატების სახით“ [ქსკს 1981: 116].

უპასუხებს ფორმას მართებულ ფორმად მიიჩნევს, ხოლო მისი მოცილე **პასუხობს** ვარიანტის არამართებულობის დასაბუთებას ცდილობს გიორგი შალამბერიძე. მისი აზრით, ამაცობს, თამაშობს, მუშაობს... „ერთპირიანი ზმნების ანალოგიით აწარმოებენ „პასუხობს“, „კარნახობს“, „საყვედურობს“ ზმნებს, რომელთაც ორპირიანი ზმნების შინაარსით იყენებენ: **პასუხობს** ის მას, **მპასუხობს** ის მე, **კარნახობს** ის მას, **მკარნახობს** ის მე ... მაგრამ ამ ზმნებს არ შეიძლება შევუწყოთ ორი პირი, ისე, როგორც არ შეიძლება ვთქვათ: ავადმყოფობს ის მას, მავადმყოფობს ის მე, მამაცობს ის მე, გამაცობ მე შენ და ა. შ.“ [შალამბერიძე 1980: 44-45].

„**პასუხობს, კარნახობს, საყვედურობს, პატაკობს** ერთპირიანი ნასახელარი ზმნებია, ისე როგორც **კაცობს, გულობს, დარდობს...** ამ ზმნებს პირდაპირი ობიექტი არ შეეწყობათ, ხოლო ვინც **პასუხობს, კარნახობს** და მის მსგავს ფორმებს იყენებს ორპირიანი გარდამავალი ზმნის გაგებით, ის ანგარიშს არ უწევს ზმნის სტრუქტურას და თავისი სუბიექტური შეხედულებებისამებრ ცდილობს ერთპირიანი ზმნა ორპირიანად აქციოს, პირდაპირი ობიექტი გაუჩინოს მას“ [ქსკს 1981: 117].

გიორგი შალამბერიძის აზრით, **პასუხობს** ფორმის გამოყენება შესაძლებელია შემდეგ კონტექსტებში: „ყველა პასუხი როდი **პასუხობს**“. ეს წინადადება ასე უნდა გავიგოთ: „ყველა **პასუხი პასუხად** როდი გამოდგება“ [შალამბერიძე 1981: 44].

ვიოლა კალანდაძეს მართებულად მიაჩნია **პასუხობს** ზმნის გამოყენება ასეთ კონტექსტებში: ტელეფონი არ **პასუხობს**, ცუდად **პასუხობს**, კარგად **პასუხობს**. მკვლევრის აზრით, ეს **პასუხობს** ზმნის ერთპირიანად გამოყენების ერთი კერძო შემთხვევაა.

უპასუხებს: 1. კითხვაზე პასუხს აძლევს, – მიუგებს. ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად შესიტყვებას გაკვეთილს **უპასუხებს** (გაკვეთილს უყვება, უამბობს); 2. რაიმეს მიმართ თავის დამოკიდე-

ბულებას გამოამჟღავნებს, გამოეხმაურება, საპასუხოდ რაიმეს მოიმოქმედებს; 3. შეეფერება, შეესაბამება, შეესატყვისება, აკმაყოფილებს. მესამე მნიშვნელობით ზმნას ზოგადი აწმყოს გაგება აქვს და მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში გვხვდება [ქეგლი 1960: 1558].

პასუხობს ზმნას ისეთი მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს, როცა მასთან ირიბობიექტური პირი არ ივარაუდება. ზმნას ამ დროს **პასუხს იძლევა** შესიტყვების მნიშვნელობა აქვს. **პასუხს იძლევა** შეიძლება გავიგოთ როგორც პირდაპირი, მაგ.: „კითხვაზე **პასუხს** იძლევა“, ასევე გადატანითი მნიშვნელობითაც: გარკვეულ სიტუაციაში გარკვეული წესის მიხედვით მოქმედებს, – **რეაგირებს, იქცევა**. ერთპირიან **პასუხობს** ზმნას კონტექსტების მიხედვით სწორედ ეს ფორმები – **პასუხს იძლევა, რეაგირებს, იქცევა** – შეიძლება ჩავუნაცვლოთ. მაგ.: „ზოგიერთ ბავშვს თითქოს ეძინება, დუნედ **პასუხობს**, ხელიდან უვარდება ყველაფერი“, „ოპერაციის მესამე დღეს ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა... ავადმყოფს აბოდებს, შეკითხვებზე **პასუხობს** არაადეკვატურად“; ან კიდევ: „ნიკოლოზ ცისკარიძე მინისტრის შეკითხვებზე **პასუხობს**“, „მოსწავლე თითო სიტყვით **პასუხობს** მარტივ შეკითხვებზე როგორც ნასწავლი თემების გარშემო, ისე კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით“, „სანდრო ჯგუფურ მუშაობაში ნაკლებად აქტიურობს და მასწავლებლის დასმულ კითხვებზეც ზერეულედ **პასუხობს**“ და მრავალი სხვა.

ზმნის ერთპირიანობა ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მსგავსი კონსტრუქციის წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს **უპასუხებს** ფორმაც. მაგ.: „მცირეოდენი დამწვრობისას ბავშვი მკვეთრად **უპასუხებს** ტკივილზე ტირილით“.

ეს შეგნებული ჩარევის შედეგია – ყველა შემთხვევაში **პასუხობს** არასალიტერატუროდ მიჩნეული ფორმის ნაცვლად **უპასუხებს** სალიტერატურო ფორმა ვინმართ, – აღნიშნავს ვიოლა კალანდაძე. მისი აზრით, **უპასუხებს** ფორმა ერთპირიანი **პასუხობს** ფორმით უნდა შეიცვალოს. სახელდობრ, ასე: „მცირეოდენი დამწვრობისას ბავშვი მკვეთრად **პასუხობს** ტკივილზე ტირილით“.

მკვლევართა აზრით, მე-20 საუკუნის პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენაში მეტწილად **უპასუხებს, უკარნახებს** ტიპის ფორმები სჭარბობენ. მხატვრული ლიტერატურის ენაში კი სასწორი **პასუხობს, კარნახობს** ტიპის ფორმათა მხარეს იხრება.

რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართულში?

როგორც ითქვა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა უმეტესობა **უპასუხებს** ფორმას უჭერს მხარს, რაც აისახება კიდეც „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“: [**პასუხობს** მას კი არა] **უპასუხებს**, **პასუხს აძლევს**. ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები დადასტურებულია თანამედროვე ქართული პრესისა და რადიო-ტელევიზიის ენაში:

„დიდუბის რაიონის გამგეობა სახალხო დამცველის განცხადებას **პასუხობს**“.

„დევილთა საკითხების შემსწავლელი კომისია დევნილების კითხვებს **პასუხობს**“.

„პოპულარული ქართველი ბიჭი, რომელმაც აშშ-ში ჩოხით იქორწინა, კრიტიკოსებს **პასუხობს**“.

„შესყიდვების სააგენტოს განცხადებას „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ **პასუხობს**“.

„საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით კითხვებს **პასუხობს** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი“.

„კონსტიტუცია, რომელსაც მივიღებთ, მთლიანად **პასუხობს** ჩვენი საზოგადოების მოთხოვნებს და ქვეყნის განვითარების დღის წესრიგს“.

„ამ ყველაფერს ადგილობრივი ბიზნესი **პასუხობს** თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნით“.

„ქუთაისის მერია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კვლევას **პასუხობს**“...

იგივე ითქმის **უკარნახებს** ფორმის შესახებაც. **უკარნახებს** ნიშნავს: 1. კარნახით ჩააწერინებს. 2. გადატ. ჩააგონებს, უბიძგებს (რაიმეს გაკეთებას) [ქეგელი 1955: 1235]. „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ **კარნახობს** აკრძალვითაა წარმოდგენილი: [**კარნახობს** მას კი არა] **უკარნახებს**. მაგალითები პრესისა და რადიო-ტელევიზიის მონაცემთა მიხედვით:

„საბანკო სექტორს გამსხვილებისა და გაზრდის საჭიროებას ბაზარი **კარნახობს**“.

„აუცილებლობის შემთხვევაში სუფლიორი **კარნახობს** მსახიობებს როლის ტექსტს სუფლიორის ჯიხურიდან“.

„არღვევენ თუ არა სკოლის დირექტორები ეთიკის წესებს და ვინ **კარნახობს** მათ ჩაცმა-დახურვის კულტურას?!“.

„თქვენი თქმით, ასეთ განწყობებს მედიას პოლიტიკა **კარნახობს**?“.

„აბა ადამიანი ყოველთვის იქით კი არ მიდის საითაც გული **კარნახობს**, არა, საითაც საჭიროება მოითხოვს“.

„სწავლას შეუდგა და უკვე თამაშის მიმდინარეობის დროს თანაგუნდელებს ქართულად **კარნახობს**“.

„ევროპას უსაფრთხოების კონცეფციას აგრესორი **კარნახობს**“.

„მაგრამ რას **კარნახობს** რაციონალიზმი სერბეთს?“.

პასუხობს და სხვა ამგვარ სადავო ფორმათა გამოყენება, რამდენადაც ისინი ორაზროვნების თავიდან აცილების შესაძლებლობას გვაძლევენ, ენაში გავრცელებულობის გამო გამართლებულად მიაჩნია ზ. ჭუმბურიძეს. მისი აზრით, „ეს ფორმები საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნათა მსგავსად არის ნაწარმოები და ა) ფართოდ არის გავრცელებული ხალხის სასაუბრო მეტყველებაში და არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე დიალექტის კუთვნილებას; ბ) ამ ფორმათა გაჩენა გამოწვეულია აწმყოსა და მყოფადის გამოიჯვნის საჭიროებით, იგი თავიდან გვაცილებს ორაზროვნებას, ხელს უწყობს აზრის უფრო ნათლად გამოხატვას; გ) სალიტერატურო ენაში დიდი ხანია უკვე დამკვიდრებულია ანალოგიურად ნაწარმოები მრავალი ზმნა, რომელთაგან ზოგი გარდაუვალია, ზოგიც გარდამავალი.“

ზემოაღნიშნულის გამო ეს ფორმა არ უნდა ჩავთვალოთ უკანონოდ და სალიტერატურო ენისთვის მიუღებლად. მათი ხმარება სალიტერატურო ენის ნორმებით დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული“ [ჭუმბურიძე 1979: 112].

ვფიქრობთ, თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში აკრძალვა უნდა მოეხსნას **პასუხობს**, **კარნახობს** ფორმებს.

ლიტერატურა

ერთელიშვილი 1963 – ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I.

მამათა სწავლანი X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, ძველი ქართული ენის ძეგლები, 8, 1955, თბილისი.

ქსკს 1981 – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IV, თბილისი.

ქეოლი 1998 – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ქეეკი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

ქეგლი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

შალამბერიძე 1980 – გ. შალამბერიძე, ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბილისი.

ჭუმბურიძე 1979 – ზ. ჭუმბურიძე, *პასუხობს* და *უპასუხებს*: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2, თბილისი.

Maka Labartkava

On the Orthography of the Verbs *pasuxobs* and *ḡarnaxobs*

Summary

The paper deals with the denominative verbs derived with the suffix **-ob** that are used with the similar function as the verbs that have the same base and have been derived with the prefix **u-** and the suffix **-eb** in the present tense in modern Georgian, e.g. *pasuxobs* // *upasuxebs*, *ḡarnaxobs* // *uḡarnaxebs*. These lexical units are presented as forbidden forms in the Georgian Orthographic Dictionary: [not *pasuxobs mas*] but *upasuxebs*, *pasuxs azlevs*; [not *ḡarnaxobs mas*] but *uḡarnaxebs*.

Considering the statistics of the modern Georgian language, the forms *pasuxobs* and *ḡarnaxobs* have actually been established as parallel forms of *upasuxebs* and *uḡarnaxebs*.

We think that these forms should be recognized to be correct in the orthographic dictionary and presented as follows *upasuxebs* // *pasuxobs*, *uḡarnaxwbs* // *ḡarnaxobs*.